საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №742

2007 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან გერგეთის წმინდა სამების მონასტრის წმინდა ნინოს ნიშის, ამაღლების ეკლესიის სამების ნიშის მიმდებარე ტერიტორიებზე (სამანქანო გზითა და სასაფლაოთი დაკავებული მიწების ჩათვლით) 29,4 ჰა ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიურ და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე გერგეთის წმინდა სამების მონასტრის წმინდა ნინოს ნიშის, ამაღლების ეკლესიის სამების ნიშის მიმდებარედ (სამანქანო გზითა და სასაფლაოთი დაკავებული მიწების ჩათვლით) სახელმწიფო ტყის ფონდიდან გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე გერგეთის წმინდა სამების მონასტრის წმინდა ნინოს ნიშის, ამაღლების ეკლესიის სამების ნიშის მიმდებარე ტერიტორიები, სამანქანო გზა და სასაფლაო, კვარტალი №26 ლიტერი №9 – 1,7 ჰა, ლიტერი №10 – 5,3 ჰა, ლიტერი №14 – 1,5 ჰა, ლიტერი №15 – 2,5 ჰა, ლიტერი №16 – 4,5 ჰა, ლიტერი №17 – 5,5 ჰა, ლიტერი №18 – 2,7 ჰა, ლიტერი №27 – 0,8 ჰა, ლიტერი №28 – 2,0 ჰა, ლიტერი №29 – 2,9 ჰა, საერთო ფართობი – 29,4 ჰა;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

3. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი